გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება ლაზარიაშვილის ისტორიული დრამა

**მტარვალი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, ბ-ნი გუნია, გედევანოვი, შათიროვი, კანდელაკი, იანქოშვილი, საფაროვი, ადამიძე დასხვანი.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.


---

შემოწირულებანი იმ მკვიდრთათვის, რომელნიც დაზარალდნენ მოუსავლობის გამო, მიიღება რუსეთის წითელის ჯვრის კავკასიის მმართველობის ხაზინადარის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მულინის მიერ ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის კანცელარიაში, ყოველდღე, დილის 10 საათიდამ 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. ყველა ეს შეწირულებანი, საზოგადოების მთავარ-სამმართველოს განკარგულებისამებრ, გაეგზავნება სარატოვის ადგილობრივს მართველობას, რომელმაც უნდა შეადგინოს წითელის ჯვრის მზრუნველობა ადმინისტრაციისა და სამღვდელოების მონაწილეობით. ამ მზრუნველობის ვალია, გაუწიოს დახმარება გაჭირვებულსა და დამშეულს ხალხს იმ წესით, რა წესითაც უფრო მოსახერხებელი იქნება, ხოლო ეს წესები უნდა ეშესაბამებოდეს ადგილობრივვე შემუშავებულს და მოაზრებულს პლანს.

(5—3)

---

## ახალი ამბავი

—

*** ბ-ნ ვ. ა. სულხანიშვილს შეუწირავს „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ გვარტომობის ხე ქართველთა მეფეებისა. ეს გვარტომობის ხე მშვენიერად არის გაკეთებული ფერადებით და სილამაზით ბევრად სჯობს იმ გვარტომობის ხეს, რომელიც ჰქონდა აქამდე საზოგადოებას. მმართველობამ მადლობა გადაუხადა შემომწირველს.

*** გუშინ-წინ ნიჟნი-ნოვგოროდიდგან პირველი ტრანსპორტი მოვიდა საქონლისა ტფილისში. უმეტესი ნაწილი საქონლისა ხალები, ბეწვეულობა და ტყავებია.

*** ავსტრიის გენერლები ალექსანდრე გიბნერი და ლიუდოვიგი დეტიზოვანი გუშინ ტფილისიდგან ერევანში გაემგზავრნენ ერევნის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილის დასათვალიერებლად.

*** არა ერთხელ იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ ჩვენს საფოსტო კანტორაში, როცა დიდი ძალი ხალხი აწყდება ფულის მისაღებად ანუ ფულის გასაგზავნად, მაშინ იქ თავს ამოჰყოფენ ხოლმე ჯიბის ოსტატები. მაგალითად, ამ თვის 22 საფოსტო კანტორაში პოლკოვნიკს მ. დ—ძეს ლოსკოვს, როგორც გუშინ ბ-ნს ტფილისის პოლიცეიმეისტერს გამოუცხადა, ჯიბიდამ ამოაცალეს თურმე ფულის ქისა ფულით, ვექსილებით და სხვა-და-სხვა ბარათებით. ამას გარდა იქვე მოჰპარეს თურმე ოქროს დიდი ბეჭედი, რომელზედაც მისი სახელი და გვარი ყოფილა ამოჭრილი.

*** რკინის გზის სადგურ „ჩაქვის“ ახლოს ამ თვის 23 საქონლის მატარებელიდამ ჩამოვარდნილა ვიღაცა ჩიკოიძე, რომელიც ამ მატარებლით ბათუმიდგან მოდიოდა თურმე. საბრალოსთვის ვაგონების თვლებს ხელი მოუჭრია და ძალიან დაუჟეჟია.

*** ორშაბათს, 23 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრებაზე ობოლთა სამზრუნველოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ. ივ. გ. მაჩაბელი.

*** „Тиф. Лист.“-ი ამბობს: ჩვენ შევიტყეთ დაჭეშმარიტებით, რომ საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობით უწმ. სინოდმა ორასი თუმანი გადასდო წინამძღვარიანთ სამეურნეო სკოლის ეკკლესიის დასამთავრებლადაო.

*** ჟურნალ „Рус. Мысль“-ის სექტემბრის წიგნში დაბეჭდილია სომეხთ ბელეტრისტის რაფის მოთხრობა „ჯალალ-ედინი“.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ე ამბობს, რომ ქიზიყში რაღაც საქონლის ჭირი გაჩენილაო. ამ ჭირის გამოსაკვლევად მთავრობას გაუგზავნია იქ ბეითალი ბ-ნი მეშჩერსკი.

*** „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია, რომ ქართული გაზეთი „თეატრი“ სამუდამოდ მოსპობილ იქმნაო.

*** გუმბრიდამ სწერენ გაზ. „Кавказъ“-ს, სოფ. ბაშ-შურაგელში, ყარსისაკენ, ერთმა აქაურმა მცხოვრებელმა იპოვა 13 ენკენისთვეს კალოს თოხნის დროს ნატეხები სპილენძის სამაჯურისა. ამას წინად კიდევ მეორემ ოცამდე ძველი ფული იპოვნა. ამ ერთის წლის წინად იმავე სოფლის ახლო-მახლო იპოვეს ოქროს ძველი ფული და ერთი ოქროს გულის ქინძისთავი. ეს გულის ქინძისთავი ახალს ნაკეთებს არა ჰგავდა, დიდი იყო, რგვალი და ზედ წმინდანების სახეები იყო ამოჭრილი. ჰავს ძველს ფულს აქეთკენ ბევრსა პოულობენ გლეხ-კაცები. სოფ. ბაიანდურში 15-მდე ასეთი ფული მოაგროვე. პატარა რომ გაჩიჩქნოს კაცმა, ძველს შენობას რასმე მიაგნებს. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ბევრი რამ ძველი ნაშთი უნდა იყოს დამარხული მიწაში. სომხეთის ისტორია და წარწერანი უზარმაზარის ტაძრებისა ამტკიცებს, რომ, როცა სომხეთი საქართველოს გამგეობაში იყო, აქ ყოფილა სატახტო ქალაქი ზოგიერთის მეფისა.

—◆◆—

### არჩილური, შვიდ-თავი

(სამღრთო ამოცანები)

—

ზეცას მისთვის მიუცია, რაც აშვენებს კაცის ტომსა;
ალმაფრენა ჭაბუკისა მას უხდება, ფიქრში მდგომსა;

---

# ფელეტონი

—

**ქვეყნიერობის მოშორებით**

კომედია ოთხ მოქმედებად

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 203).

### IV გამოსვლა

იგინივე, სტეფანე და ნერსესა (ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს)

ვარო. (მიეგებება) ნათლიავ, დედაკაცი რა იქნა?

სტეფ. სოფლელებს გავაყოლე, შვილო, არა უჭირს-რა.

ნერსესა. (აბელას) აჰ, შე ლორო, ტყავს გაგაძრობ! იმის მაგივრად, რომ დუქანში ეგდო, უპატრონო ძაღლივით ქუჩა-ქუჩა დაწანწალებ; კოტრი კნიაზების მაგალითს მიჰყოლიხარ, შენმა მზემ, მურაზს მეეწევი; ისინი ეხლა დამშეულ მგლებივით დაეხეტებიან ქუჩებში, აცა, იქნება სადმე პური გვაჭამონო. იმათი აყოლა შენ არ გამოგადგება; ვაშლებს როგორა სტაცებ საწყალ დედაკაცსა, როგორ არა გრცხვენიან? შენც, კოსტავ, ნუ იცი ჩემი შვილის აქეთ-იქით თრევა.

სეხნ. რა უსუსური ბავშვია შენი შვილი, არ ეყურ ოდეს თავისი საქმისა? მადლობა ღმერთსა, ორი თვეა სრულ-წლოვანი შეიქნა, შეუძლიან თავის გუნებაზე მოიქცეს.

აბელა. მამაჩემო, მე სრული წლოვანი ვარ...

ნერს. ხმა გაიწყვიტე, შე ლორო!.. გთხოვ, ძმაო, თავი დაანებო ჩემ შვილს; ვიცი, შენი გადაკიდება ხათაბალაა... თუ ღმერთი გწამს, თავი დაანებე.

სეხნ. თქვენის საქმისა თქვენ იცით; მე ხომ არ მოვდივარ თქვენსა, თითონ მოდის.

აბელა. მამა ჩემო, ჩემი ნებაა...

ნერს. ხმა გაიწყვიტე, გასწი ეხლავ შინ!

აბელა. ჩემი ნებაა, არ წავალ, სრული წლოვანი ვარ...

ნერს. (ხელს მოსწიდებს) გაფუჭდეს ავი კაცი, როგორც შენა ხარ გაფუჭებული. უკაცრავოთ, უბედური ვარ ამ ჩემი შვილისგნით, გული მეწვის... (გამოეთხოვება, მიდის და აბელა მიჰყავს)

ვარო. რატომ თავს არ დაანებებთ ყმაწვილს, ცოდვაა...

სეხნ. აბა რასა ბძანებ, ქალო; რა საქმე მაქვს იმათთან; მე არავის არ ვეპატიჟები, არ ვეკანჭურები, მოვა ჩემთან და ხო ვერ გავაგდებ?

სტეფ. გააგდე, ვერა ჰხედავ ბავშვია: წლოვანობით დიდია, მაგრამ სრულებით არაფერი ეყურება.

სეხნ. თოთონ ნერსესაა დამნაშავე: ოცდა-ერთის წლის ვაჟკაცს ისე სცემს ჯოხით, ასე გონია, ვირი იყოსო; კაპიკს ფულს არ აძლევს, ყმაწვილმა ან ესა ნახოს, ან ისა; ფულსა მთხოვს, უარს არ ვეუბნები, რასაკვირველია, რადგანაც ვიცი, რომ არ დამეკარგება.

ვარო. ნერსესამა სთქვა, ერთს თთვეში ოცი თუმნის ვექსილი გამაართო აბელასაო, ოც თუმანს რაში დახარჯავდაო?

სეხნ. ქალო, ახალგაზდა ხარ, ვერაფერს გაიგებ; ყველაფერს თავისი ჭკუა უნდა: ვაჟკაცის საქმეს ვაჟკაცისა, დედაკაცისას—დედაკაცური. აბა ვექსილები რა შენი საქმეა?

ვარო. უკაცრაოდ, მაგრამ ამისთანა მარტივს საგანს დიდი გაგება არ ეჭირვება.

სეხნ. დიაღ, რასაკვირველია, ნახვამდის (გამოეთხოვება და გავა).

### V გამოსვლა

იგინივე, ნერსესასა, აბელასა და სეხნიაშვილს გარდა

სტეფ. ნუ ხარ, ვარო, გულ-ფიცხი, ნუ იცი პირში შებმა; რაც შენი საქმე არ იყოს, თუ ღმერთი გწამს, ჩუმად იყავი... ძალიან გესიამოვნება მაგასთან ლაპარაკი?

ვარო. მეზიზღება კიდეც, მაგრამ რო უსინიდისოა!..

სტეფ. შვილო, შენი საქმე არ არის; განა მე-კი გული არ მეწვება, მაგრამ რას იზამ, როცა დაბადებითვე დაჰყოლია იმ ბიჭს სისულელე; სცემე, არა სცემე, სულ ერთია. რასაკვირველია, კოსტა რომ არ იყოს, ყმაწვილი ძალიან მშვიდი იქნებოდა, მაგრამ რას იზამ, რომ ქალაქში გაგზავნისაც ეშინიან ნერსესას,—ვაი თუ უფრო გაფუჭდეს უპატრონოდაო? მაგას ცოლის შერთვა უნდა; თუ კაი ქალი შეხვდა, ღმერთი მოწყალეა, კეთილი ბიჭი დადგება, იმიტომ რომ ბუნებითვე მშვიდის ხასიათისაა.

ელის. მეც რამდენჯერ ვურჩიე, თუ, ნერსეს, შერთე შენ შვილს ცოლი, თორემ ხომ ჰხედამ, სისხლი თავში აქვს ავარდნილი-მეთქი, დაიღუპება. აპაა, რა დროს აბელას ცოლია, ჯერ ბავშვიაო... ეხლა-კი ნანობს; ქალსა მთხოვს, მაგრამ ჩემი მაშო როგორ მივცე, განათლებული ქალი სრულიად გაუნათლებელს ბიჭსა? როცა მაშოს ვუამბე, კინაღამ გული შეუღონდა.

ლადო. რასაკვირველია, განათლებული ქალი გაუნათლებელ ვაჟს როგორ მიეცემა, ოჯახი ხომ ჯოჯოხეთად გადაიქცა?

მაშო. ისევ ის მირჩევნია თავის დღეში არ გავთხოვდე, ვიდრე მაგისთანა ქმარი შევირთო, ნამდვილი პრიკაშჩიკიაო!

ვარო. მაშო და პრიკაშჩიკი—სადაურია! გახსოვს, როცა სულ იმის ფიქრში იყავი, როდის იქნება ქალაქში გადავსახლდეთ, კლუბებში ვიაროთ, აფიცრებთან ვიტანცაოთ? ერთი საიდუმლო უნდა გითხრათ მაშოსი: ჩემი ქმარი უეჭველად აფიცერი უნდა იყოს, დიდ-ულვაშებიანი, მალალ-ტანიანი და შპორებიანიო. ახლა, ღვთის წყალობით, აფიცრები ჩვენშიაც გაჩნდნენ.

ლადო. ურიგო როდი არი!

ვარო. მერე იცი, რეები თქვა?..

მაშო. (პირზე ხელს მიაფარებს) დაჩუმდი, გეყო... (სიცილი)

ელის. ადე, შვილო, წავიდეთ, თორე ვიზიტი წვეულებად გადაგვექცა.

ვარო. ნათლი (იქით გაიხმობს), ლადოს გულის ფრიალი აქვს, ნებას ნუ მისცემ ამ სიცხეში გაიაროს, შენ გაჰყევი.

ჟურს ახარებს მისი ლექსი, ვით ნა-
ვარდი ლეკვის—ლომსა;
ეტევება უნალვლობას, უგონობას,
ქვეყნის მხდომსა,
ლუკმა-ლუკმად სწიწკნის მათგან შე-
ნალაფავს, სავნო ცომსა,
ილხენს კარგის სიტურფითა, ავს ექა-
დის მარად ომსა.

---

### ქალაქის საბჭო

23 სექტემბერი

რადგანაც საბჭოს უნდა ამოერჩია თავმჯდომარე ობოლთა სასამართლოსი („სიროტსკი სუდი“) და ორიც დამფასებელი საქალაქის მამულებისა, ამის გამო ბევრი ხმოსანი დაესწრო ამ კრებასა და გარეშე მაყურებელთა რიცხვიც მრავალი იყო. კრების დაწყებისათანავე ქალაქის თავმა შეატყობინა ხმოსნებს, რომ მათი ამხანაგი, ხმოსანი ბოლესლავი ეგნატეს ძე სტატკოვსკი, თავს ანებებს საბჭოს სამსახურს, და წაუკითხა მისი წერილი, რომელშიაც ბ-ნი სტატკოვსკი ამბობს, რომ ხშირი ავადმყოფობა და სამსახურის გამო მოგზაურობა ტფილისის გარეშე ხელს უშლის სინიდისიერად აღასრულოს მოვალეობა ხმოსნისა, ვერ დაიარება საბჭოს კრებაზე და სამართლიანს საყვედურშია თავის ამხანაგთა შორის, რის გამოც სთხოვს საბჭოს დათხოვნას ხმოსნობის მოვალეობიდგან. საბჭომ გულმტკივნეულად მოისმინა წერილი ბ-ნ სტატკოვსკისა და დაადგინა მწუხარება გამოაცხადოს, რომ იმისთანა სასარგებლო და ღირსეული ხმოსანი, როგორც იყო ბ-ნი სტატკოვსკი თორმეტის წლის განმავლობაში, დღეს თავს ანებებს თავისს მოვალეობას, და დაავალა ქალაქის თავს მადლობა გადუხადოს საბჭოს პირით ამდენის ხნის მოღვაწეობისთვის. ხმოსანმა შახაზიზოვმა შენიშნა, რომ კარგს იზამდნენ სხვებიც, რომელნიც ვერ ასრულებენ სინიდისიერად თავიანთს მოვალეობას, მიებაძნად ბ-ნ სტატკოვსკისთვის და თავი გაენთავისუფლებინათ.

ამას შემდეგ საბჭო შეუდგა განხილვას გამოძიებისას შესახებ იმისა, მიცემულ იქმნას სამართალში აგენტი ალიხანოვი, რომელმაც სილა შემოჰკრა ბ-ნს ზავრიევს, თუ არ იქმნას მიცემული. ხმ—ნნი დ. ზ. ყორღანოვი, ევანგულოვი, თავ. ჩოლოყაშვილი და ვეისენგოფი იმ აზრისა იყვნენ, რომ უთუოდ სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქციელი ალიხანოვისა, რადგან ეჭვს გარეშეა, რომ იმას მართლა შემოუკრავს სილა ბ-ნ ზავრიევისთვის და ასეთს მოქმედებას საბჭო ვერ მოუწონებს თავისს მოხელეებს, რაც გინდა ძლიერ სინიდისიერები იყვნენ ესენიო და რა გარემოებასაც უნდა გამოეწვევნა ამგვარი საქციელი ალიხანოვისაო. ჩოლოყაშვილი იმ აზრისაც იყო, რომ ღირსება ჩვენის წარმომადგენლობისა მოითხოვსო, რომ არა თუ სამართალს გარდავცეთ ამ საქციელის ჩამდენი, არამედ კიდეც უნდა გადავაყენოთ სამსახურიდგან, ვიდრე სასამართლო თავისს განაჩენს დაადგენსო. ხმ-ნმა იოანნისიანმა განუმარტა საბჭოს, რომ იგი იურიდიულად ვერ შეჰხედავს ამ საქმეს, მისი მოვალეობაა გასინჯოს ალიხანოვის საქციელი ისე, როგორც უნდა უყურებდეს მოქალაქე. თუ გვინდა, რომ ამ მხრივ ჩვენ შესაფერი განაჩენი დავადგინოთ, საჭიროა ვრცელი გამოძიება მისი, თუ რა ადგილი უჭირავს ბ-ნს ზავრიევს ჩვენს მოედანზე და როგორს მონაწილეობას იღებს ბაზრის ცხოვრებაში. დღემდე ვერ გამიგიაო —სთქვა ხმოსანმა—რათა ყიდულობდა ბ-ნი ზავრიევი პურის ხორბალს, მოხმარებელია იგი, თუ ჩარჩი, რომელიც გადევნილ უნდა იქმნას მოედნებიდგანო. გამოძიებაში სწერია, ვითომც იმას ხორბალი ქათმების გამოსაკვებად უნდოდა, მაგრამ ეგ როგორღაც დაუჯერებელია, რადგან ქათამს ჰკვებენ ხოლმე ქერით, სიმინდით და სხვა უფრო იაფ მარცვლეულობით და არა ხორბლით. მერე კაცი, რომელიც წევრია მართლმადიდებლობის აღმადგინებელ საზოგადოებისა, ვერ გაიმეტებდა ქათმებისთვის ხორბალს, როდესაც ესეთი საშინელი სიმშილობაა რუსეთში. აქ რაღაც სხვა როლს უნდა თამაშობდეს ბ-ნი ზავრიევი ქალაქის მოედნებზე.

ამას შემდეგ დადგეს ყუთები და კენჭით გადასწყვიტა საბჭომ, რომ ბ-ნი ილიხანოვი არ იქმნეს მიცემული სამართალში. ბოლოს საბჭო შეუდგა არჩევანს ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარისას. კენჭი იყარეს თავ. ი. გ. მაჩაბელმა და საქმის მწარმოებელმა ამ დაწესებულებისამ ბ-ნმა ხატისოვმა. ხმის უმეტესობით, ამ ადგილზე საბჭომ ამოირჩია თავ. ი. გ. მაჩაბელი, რის გამოც ქართველმა ნაწილმა მაყურებელთა ტაშის კვრით მოიწონა საბჭოს არჩევანი. თავმჯდომარე ამორჩეულ იქმნა სამის წლის ვადით, ჯამაგირი ორასი თუმანი ექმნება წელიწადში. ქალაქის მამულების დამფასებლებად ამორჩეულ იქმნენ: უწინდელი დამფასებელი ბ-ნი აბესალომოვი და მის ამხანაგად ბ-ნ იუზბაშევის მაგიერ ბ-ნი მესაბოვი, ხოლო მათ კანდიდატად ბ-ნი ასლამაზოვი.

---

### დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. მუჟალი.** (ზემო სვანეთი) 15 სექტემბერი. სვანეთი მეტადრე ზემო, როგორც მოგეხსენებათ, მიყრუებული და ღარიბი ქვეყანაა. იგი ოთხივ კუთხით მაღალის მთებით არის შემოზღუდული, რომლებზედ მუდამ თოვლი სძევს და ამიტომ ძლიერი სიცივე იცის. ზამთარი ჩვენში რვა-ცხრა თთვეს გასტანს ხოლმე, ზაფხული სამს თთვეს. ამ ცხრა თთვის განმავლობაში ჩვენში, შინაურს საქმეებს გარდა, არაფრის მუშაობა არ შეიძლება, რადგან დიდი თოვლი იცის. მაშ უსაქმოდ რა უნდა ხალხს შინ? არაფერი, მაგრამ წასასვლელი გზა რომ არ საით არა აქვს? ისეა დამწყვდეულია ამ ვიწრო ქვეყანაში, თითქოს საპატიმროში იყოს ტუსაღი მოქცეულიო. ამიტომაც სანამ ზამთარი დადგებოდეს, ახლო-მახლო სოფლებში გადის სამუშაოდ და ამ გვარად ჰშოულობს თავისს საზრდოს. ზოგიერთი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ვერ ასწრობს ზაფხულში სამუშაოდ წასვლას და ზამთრობითაც კიდევ მიდის. დიდი თოვლიანი მთები უნდა გადიაროს და ამიტომ ბევრჯელ ხდება უბედურება ამ მგზავრობის დროს და ბევრი ხალხი იღუპება. ისეთი საშინელი და უკუღმართი გზებია, რომ ათს სულში ხუთი ძლივს გაატანს სამშვიდობოს. მადლი არ იქნება, რომ მარტო ზაფხულობით-კი არა, ყოველთვის შეგვეძლოს აქეთ-იქით თავისუფლად სიარული, როგორც სხვა ხალხს? რასაკვირველია, მადლი იქნება, მაგრამ მზრუნველი რომ არავინა გვყავს? უგზობისაგან ჩვენსავით არავინ არ იტანჯება. ამ ბოლო ხანებში ცოტა მაინც გვეშველა. ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-ნმა ივანე ლოლობერიძემ ბრძანება მისცა მამასახლისებს, რომ ხალხი შეეკრიბათ და გზის მუშაობა დაეწყებინებინათ. ეს ამბავი-კი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ჩვენში მობრძანდებოდა მაზრის უფროსი და რომ უფრო უშიშრათ ევლო, გზები უნდა შეესწორებინათ. ეს ბოქაულის ბრძანება აასრულეს მარტო ზემო სვანებმა და მშვენიერად შეასწორეს გზა ლატფარის მთის იქითა მხარეს, ძირიდგან წვერამდე. ლატფარის აქეთა მხარე-კი ისევ გაუკეთებელი დარჩა. ნეტა ვეღირსებით-კი, რომ უშიშრად და თავისუფლად შევეძლოს სიარული?...

ამ ჟამად ჩვენში ერთი დიდად სასიამოვნო ამბავი მოხდა: აქ დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სასწავლებელი თავისის ხარჯით ააშენა მულახის საზოგადოებამ, რომელიც შესდგება ცხრა პატარ-პატარა სოფლისაგან, სასწავლებლის სადგომის აგება უკვე დაამთავრეს აგვისტოს დამლევს და სასწავლებლისათვის საჭირო ავეჯეულობა-კი წინადვე იყო მომზადებული. მოწაფეების რიცხვი ლამის სამოცს აღემატოს. მასწავლებელმა, სანამ სასწავლებელს ააშენებდენ, დაიწყო კიდეც ყმაწვილების მზადება. ქართულს ენას არ ასწავლიან, ამის ნაცვლად სვანურს ასწავლიან, რომლის სწავლაც, ჩემი ფიქრით, გამოუდეგარი უნდა იყოს და ეს გარემოება-ღა დაგვრჩენია ჩვენ სამწუხაროდ. ეხლა სვანებსაც-კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სასწავლებელი გვაქვსო.

დიდს მადლობას ვუძღვნით იმათ, ვინც ჩვენის სასწავლებლის დაარსებისათვის იზრუნა. უფრო დიდს მადლობას იმას უძღვნით, ვინც ჯერ ერთი, ქართულის ენის სწავლას არ მოგვაკლებს და მეორე, გზების გაკეთებას იკისრებს.

მუჟალელი

---

**სოფ. ცხრა-წყარო** (შორაპნის მაზრა), 18 სექტემბერი. სხვა სოფელთა შორის შორაპნის მაზრაში შესანიშნავი სოფელია ცხრა-წყარო, რომელიც ორის ვერსის მანძილზეა ყვირილიდგან. ამ სოფელში მცხოვრებელი სულ 90 კომლამდე ირიცხება. უმეტესობას გლეხ-კაცობა შეადგენს. სოფ. ცხრა-წყარო ძალიან შეძლებული სოფელია და აქ ბლომად მოდის სიმინდი და ღვინო; პურის თესვას არ მისდევენ, თორემ ისიც კარგად ვარგობს. მცხოვრებლები უმეტეს ნაწილად მევენახეობას მისდევენ და ეს შეადგენს პირველს სახსარს ხალხის ცხოვრებისას; ძნელად მოიპოვება ისეთი კომლი, რომ წელიწადში 10 საპალნე ღვინოს (საპალნე 10 კოკაა) არა ჰყიდდეს. აქაური ღვინო კარგის თვისებისაა და არც ძალიან ჩამოუვარდება სვირის ვენახების ღვინოებს. საპალნე ღვინო ისყიდება 30—40 მანათად.

ერთის სიტყვით, სოფ. ცხრა-წყაროს ქონებრივად არა უჭირს-რა, მაგრამ დღევანდლამდე მისი ნაკლულევანება სკოლის უქონლობა იყო. თუმცა, მართალია, მესამოც-და-ათე წელში ამ სოფელში არსებობდა სამინისტროს სკოლა, რომელიც სასოფლო კანცელარიაში იყო მოთავსებული, მაგრამ დიდს ხანს ვერ გასტანა ამ სკოლამ, მალე განუტევა სული წიაღთა შინა აბრამისათა. ხალხმა სკოლას აბუჩად დაუწყო ყურება, ბავშვები შემოეცალნენ, ასე რომ ორი-სამი ბავშვი-ღა დაიარებოდა ბოლოს ამ სკოლაში. ვინ იყო მიზეზი

---

ლადო. „სეკრეტები“ არ იყოს.

სტეფ. რა ცუდი ფერი გაძევს, ავად ხო არა ხარ?

ლადო. საქმე არა გაქვს, ექიმი ავად გახდება? ნება მიბოძეთ მიგაცილოთ სახლამდის.

სტეფ. უკაცრაოთ, ელისაბედ, მე არ მივცემ ნებას; ეტყობა უქეიფოდ არის, გულის ფრიალი ექნება, სიცხე დაჰკრავს.

ლადო. არა...

სტეფ. ვიცი, შვილო, ნუ მაწყენინებ.

ელის. არა, შვილო, გაუგონე მამას; რო აგრილდეს, მაშინ გადმოიარეთ; ეხლა შინ დარჩი, სიცხეა, გავნებს. ნახვამდის!

მაშო. ნახვამდის; გელით აი, ნოტებს მოვამზადებ.

ვარო. კატა სადმე დამალეთ; ძაღლი-კი იყოს—ტრიო გამოვა.

მაშო. შენც კატასთან დაგკეტავთ. (გავლენ).

#### VI გამოსვლა

ლადო და ვარო

ვარო. (ნიშნის გებით) ჰე, ჰე, ვერ მოგართვით გაცილება, თუმცა ძალიან გულით-კი გინდოდა.

ლადო. საკვირველი ქალი ხარ, მამაც ააშფოთე და... და იმათაც აწყენინე.

ვარო. იმათ-კი არა, შენ გაწყენინე; გაჩნდეს შპორებიანი აფიცერი, მგონი ერთს წუთს დაავიწყდეს, არის ქვეყანაზე ნასწავლი სტუდენტი, თუ არაო.

ლადო. მაინც გამაგებინე, თუ ქრისტე გწამს, რას გამორჩი აქედგან?

ვარო. იმას, რომა.. რომა!...

ლადო. რომა ქალაქია იტალიაში.

ვარო. იმას გამოვრჩი, რომ ამ გვარ აბდა-უბდას სათქმელად ერთ შემთხვევას მაინც მოკლებული ხარ.

ლადო. იცი, ვარო, რა? როგორც გატყობ, ძალიან სულელი ვინმე გგონივარ

ვარო. სრულებითაც არა. შენ დაჩვეული ხარ ქალებში ცუდ-უბრალო ლაპარაკსა, აქაც ენა გექავება, რო ილაზღანდარო; არ შეგიძლიან ქალებთან, მეტადრე მაშოსთან, ისე დაილაპარაკო, რომ სიცრუე რამ არა სთქვა კომპლიმენტად. სიცრუის თქმა ხომ თავის დამცირებაა და მე გულგრილად ვერ მიყურებია, როცა განათლებული კაცი ქარაფშუტასა ჰგავს. შპორებიანს აფიცრებს კიდევ შეშვენის, ექიმი-კი, სწორე გითხრა, სასაცილოა...

ლადო. მთელი ჩვენი სიცოცხლე სულ ცუდაობისაგან შესდგება ხან დაღონდები, ხან გაიცინებ, ხან დარბაისლად ილაპარაკებ, ხან იხუმრებ.

ვარო. კარგია, შენმა მზემ, მაშ შენ დარბაისლური ლაპარაკი სულ არა გცოდნია. ან იქნება მაშოს ელაპარაკები ხოლმე მარტოდ მარტო?

შეიძლება, ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო.

ლადო. როგორც შენის სიტყვიდგან სჩანს, მაშო სრულიად გონება გაუხსნელია და არაფერი მაღალი იმისთვის მისაწვდენი არ არის.

ვარო. რატომაო? მაღალს აფიცერსაც კარგად მისწვდება კისერზე ჩამოსაკიდებლად.

ლადო. სირცხვილია, ვარო!

ვარო. გაწყენინე?

ლადო. შენი ხასიათი სწორეთ გამოცანაა.

ვარო. მაშოსი-კი სრულიად მარტივია: მაღალი, გძელ-ულვაშებიანი, შპორებიანი აფიცერი და ტანცაობა—აი მთელი იმისი ოცნება, იცი, რას მეუბნება ხოლმე: რა კარგი იქნება, როცა განიერ სახლებიან პენიუარს ჩავიცვამ დილ-დილაობითაო და ჩაის ისე გავაკეთებო; ქმრის ამხანაგებსაც იმ კაბაში მივიღებ; რამდენსაც ჩაინიკისათვის ხელს გავიწვდი, იმდენი სახელო მკლავამდის ჩამომივაო, აფიცრები, მგონია, სულ ფეთდებოდნენო! ფული ხომ ბევრი გვექნება, ყოველ დღე სადილზე აფიცრები გვეყოლებაო; სადილის შემდეგ განა ყველას ვაკოცნინებ ხელზეო,—არა, მარტო რჩეულთაო. ჩვენშიაც გაჩნდა აფიცრობა, ჯერ-კი ვერავინ ამოურჩევია; არც აფიცრები ყოფილან ტანცაობის მოყვარენი, უფრო ქალალდსა თამაშობენ და ჩვენი მაშო ხშირათ დაბრუნდება ხოლმე კლუბიდამ გაჯავრებული.

ლადო. რასაკვირველია, აფიცრებთან უფრო მხიარულად გაატარებს ქალი დროსა, რა სათქმელია, ან აქ საძრახისი რა არის? მე სრულიადაც არ მიკვირს, რომ ქალი მომავალის შესახებ ოცნებობს.

ვარო. აკი ვთქვი, ფერი ფერსამეთქი.

ლადო. ღმერთმა ყველა დედას მისცეს მაგისთანა ქალი.

ვარო. ვიშ, ქათ, რა ბედნიერებაა!

ლადო. ყველასათვის იქნება ბედნიერება.

ვარო. შენთვის ხომ ყველაზე უწინარეს... ტყუილათ-კი არ გივლიან. რა იცის საწყალმა, თუ სამსახურში არ შედიხარ და ამ გამოყრუებულ ალაგას აპირებ დარჩომას. მაშო-კი სულ იმის ფიქრშია, როდის იქნება ქალაქში ვიცხოვროო? მაგრამ იქნება აფიცრობისთვისაც გაიჰაჰო, მაშინ მაშოსთანა ბედნიერი ვიღა იქნება?

ლადო. ვინ იცის? ვერავინ იტყვის დილით, თუ საღამოზე რა მოელის.

ვარო. ლალო, შენგან მესმის ეგენი?

ლადო. აქ საკვირველი რა არის?

ვარო. სულ არაფერი; მხოლოდ საქმე იმაშია, რომ საზოგადოდ კაცი სხვას თავის დღეშიაც ისე არ ეჩვენება, როგორიც ღმერთს გაუჩენია: უეჭველად სცდილობს, უკეთესი გამოჩნდეს; მოქმედებაზე-კი რომ მივარდება საქმე, მაშინ „დამაბრკოლებელი გარემოება“, ან „დროთა მოთხოვნილება“ უეჭველად თავს ამოჰყობს ხოლმე. (გადის).

ლადო. ო, რა შემაძრწუნებელი ჭეშმარიტებაა!

ფარდა.

(შემდეგი იქნება)

ხალხის ასეთის გულ-გრილობისა: მასწავლებლები, თუ საზოგადოება, ძნელად სათქმელია. მას შემდეგ, 12—15 წლის განმავლობაში, სკოლის სახელიც-კი დაავიწყდათ მცხოვრებლებს. სამინისტროს სკოლა გაუქმდა და საეკკლესიო სამრევლო სკოლის დაარსების ფიქრიც არავის მოსვლია ამ სოფელში არც მღვდელს და არც ერს. ამ გვარად სკოლის უქონლობისა გამო წერა-კითხვას მოკლებული ახალი თაობა უმეცრების მორევში იყო დღემდე.

ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მღვდელმა მ. თომა დუგლაძემ და, თანახმად სასულიერო მთავრობის განკარგულებისა, საეკკლესიო-სამრევლო სკოლისთვის ზრუნვას შეუდგა. მ. თომა დუგლაძემ იცოდა, რომ ხალხი განზე უდგებოდა სკოლას და სკოლის დაარსების განაჩენის შედგენას ერიდებოდა, მაგრამ მაინც ითავა, თავის მცირე შემოსავალი არ დაიშურა მრევლის საბედნიეროდ. გამოსთხოვა სასულიერო მთავრობას სკოლის დაარსების ნება-რთვა. სკოლის სადგური თავისის საშუალებით ააშენა და მასწავლებელიც თავისის ხარჯით მოიწვია. ღვთისმშობლობას, წირვის შემდეგ, მ. თომა დუგაძემ სასკოლო შენობაში პარაკლისი გადაიხადა, პარაკლისზედ ხალხი ბლომად დაესწრო. პარაკლისის შესრულების შემდეგ მ. თომა დუგლაძემ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა წერა-კითხვის შესახებ. ამ სიტყვამ ისეთი გავლენა იქონია მსმენელებზედ, რომ ორმოცი ბავშვი იმ დღესვე ჩაეწერა მოსწავლედ, რომელთა შორის ქალებიც იყვნენ. 9 სექტემბერს სწავლა უკვე დაიწყო. სკოლის დაარსების გარდა მ. თომა დუგლაძეს აზრად აქვს მრევლს სამსახური გაუწიოს წიგნთ-საცავის დაარსებით, სადაც იქნება შეკრებილი ყოველგვარი ქართული წიგნი.

ლოსიანთ-ხეველი

---

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამას წინად რამდენიმე აზრი გვქონდა დაბეჭდილი გერმანიის მწერლის ფრიდრიხ ნიცცესი, რომლის თარგმანიც გაზ. „Новости“-ში იბეჭდება. გუშინდელს ნომერში კიდევ მეორე ფელეტონია დაბეჭდილი ფრიდრიხ ნიცცეს აზრებისა. აი კიდევ რამდენიმე აზრი:

ჭკვიანის და გონიერის დედაკაცის სიყვარული საუკეთესო საშუალებაა თავისის თავის მძულვარების სენის წინააღმდეგ, იმ სენისა, რომლითაც ხშირად არიან ხოლმე მამაკაცნი დაავადებულნი.

ბევრნი, მეტადრე ქალები, მოწყენილობის მნიშვნელობას ვერ მიმხვდარან, რადგან ჭეშმარიტს შრომას სულ არ არიან მიჩვეულნი.

რაც უფრო ლამაზია მანდილოსანი, მით უფრო მორცხვია. ის ქალები, რომელნიც ცხოვრების უზრუნველ-ყოფას თავისის სიჭაბუკითა და კეკლუცობა-კოპწიაობით ჰყიდულობენ, იმითი განირჩევიან გარყვნილ ქალებისაგან, რომ ამისთანა ქალებზედ გონიერნი არიან და უპატიოსნონი.

გამოუცდელი ქალები იმ აზრით იწონებენ თავს, რომ ჩვენ ხელთ არის ვაჟკაცის გაბედნიერებაო; მხოლოდ შემდეგში შეიგნებენ ხოლმე, რომ დიდად ცუდის აზრისანი არიან მამაკაცების შესახებ, თუ ჰგონიათ, რომ იმათის ბედნიერებისათვის საჭიროა მ ხ ო ლ ო დ ქალიაო.

რადგან ორს მოყვარულს ადამიანს შორის ერთს უყვარს და მეორე საყვარელია, ამიტომ აქედგან ის დაასკვნეს, რომ ორივეს თანაბარის ძლიერებით უყვართ ერთმანეთიო. მაგრამ ის-კი ავიწყდებათ, რომ ერთი რამდენიც დიდს ლუკმას ითვისებს სიყვარულისას, იმდენად მეორეს ნაკლები რჩება. თავ-მოყვარეობა ყველას იმას ჩასჩურჩულებს, რომ: სწორედ შ ე ნ ა ხარ ის ადამიანი, ვინც ღირსია სიყვარულისაო და ამიტომ ყველას ისა ჰსურს, რომ ი გ ი უყვარდეთ. კიდეც ამიტომ ასე ხშირია უაზრო ცოლ-ქმრობა.

მწერლობა იმითია ძლიერი, რომ კერძოდ ყოველს წარმომადგენელს თავი თვისი პასუხის-მგებლად და არაფრის მოვალედ არ მიაჩნია. ჩვეულებრივ მხოლოდ თავისს პ ი რ ა დ ს აზრს იტყვის, მაგრამ ისიც მოხდება, რომ არც იტყვის ხოლმე ან თავისის დასის სარგებლობისა, თუ სახელმწიფო პოლიტიკისა, ან საკუთარის სარგებლობისათვის. ასეთი პაწია ცოდვები პატიოსნების წინააღმდეგ, ანუ, თუ გნებავთ, არა-სინიდისიერად დაფარვა ჭეშმარიტებისა, რასაკვირველია, განსაკუთრებული დანაშაულია, კერძო ადამიანის შეხედულობით რომ ვიანგარიშოთ. საერთოდ-კი ძალიან ცუდი შედეგი მოსდევს, რადგან ამ დანაშაულს ერთსა და იმავე დროს მრავალნი სჩადიან. ყოველი ამ მრავალთაგანი თავისს გუნებაში ჰფიქრობს: „თუ გავჩუმდი, სამსახურს გავუწევ სხვას და ამ სამსახურის წყალობით ჩემი ცხოვრება უზრუნველი იქნება, კარგად ვიცხოვრებ, თუ დავწერე და, საქმეს წავახდენო“. რადგან ზნეობის მხრივ თითქმის სულ ერთია, ერთის სტრიქონით მეტს დასწერთ, თუ ნაკლებს და სახელი მოწერილია, თუ არა, ამიტომ შეძლებულსა და გავლენიანს კაცს შეუძლიან ყოველი აზრი საზოგადოების აზრად გაიყვანოს. ყოველთვის მავნებელი ადამიანი ის კაცია, რომელიც თავისდა სასარგებლოდ სარგებლობს კაცის სისუსტით.

ჩვეულებრივი კაცი გმირსავით თამამია, როცა საფრთხეს არასა ჰხედავს; იგი ქედ-მაგარია იქ, სადაც თვალი არა აქვს. ნამდვილი გმირის სუსტი ალაგი-კი სწორედ ზურგია, ესე იგი სწორედ ის ადგილი, სადაც თვალები არა აქვს.

---

## უცხოეთი

გერმანია. გერმანიის ჟურნალ-გაზეთებმა დიდი ლაპარაკი ასტეხეს იმის გამო, რომ ჩვენი საქმე აფრიკაში ძლიერ ცუდად მიდისო. ეს ამბავი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ზალევსკის ექსპედიცია, გაგზავნილი აფრიკაში, იქაურმა მკვიდრებმა ამოსწყვიტეს.

საკოლონიო (საახალშენო) პოლიტიკის წიაღმდები დასი გაზ. „Freisinnge Zeitung“-ის შემწეობით ჰკიცხავს მთავრობას და უსაყვედურებს, რიგიანად, ხერხიანად ვერ მიგყავს ახალშენების საქმე და იმის მაგიერ, რომ სარგებლობა რამ მიიღო ახალშენებიდგან, შენვე ახარჯებ შენს ფულსაო. ამიტომ უკეთესი იქნება, რომ ზოგიერთი ახლად დაჭერილი ადგილი აღმოსავლეთს აფრიკაში ინგლისს მივცეთ და ტყუილ უბრალოდ ხარჯი არა ვწიოთო.

ამ გვარმა კიცხვამ გენერალის კაპრივის საახალშენო პოლიტიკისა მთავრობა ვერ შეაკრთო. პირიქ გაზეთმა „Norddeutsche Algemeine Zeitung“-მა გამოსთქვა კიდეც, ზალევსკის ექსპედიციის დაღუპვამ სრულიად არ უნდა შეგვაშინოს, ახალშენების დაწყების საქმეს ამ გვარი გაჭირვება, სიძნელე და უბედურება ყოველთვის თანა სდევსო. ეს გაზეთი და ამის მომხრე სხვა გაზეთებიც ამტკიცებენ, საჭიროა ახალი ექსპედიცია გავგზავნოთ აფრიკაში მაიორ ვისმანის მეთაურობით, გადავუხადოთ იქაურთ მკვიდრთ ზალევსკის ექსპედიციის დაღუპვა და ჩვენი ქვეშევრდომობა ვალიარებინოთო.

გერმანელებიც აღმოსავლეთს აფრიკაში ინგლისელებსავით იქცევიან ე. ი. საახალშენო ჯარებს მკიდრთაგან აგროვებენ და უფროსებად გერმანელს აფიცრებს უყენებენ. 100 ადგილობრივს მკვიდრს ჯარის-კაცზე 6-ზე მეტი გერმანელი არ მოდის. აშკარაა ამ ნაირს ჯარში კარგი რიგი და წესი არ დამყარდება. გაიმართება თუ არა ბრძოლა აფრიკის რომელსამე ერთან, ეს ჯარი მაშინვე იარაღს თავს ანებებს და მირბის თავის საშველად. თვით აფიცრებსაც თურმე, როგორც გერმანული გაზეთები ამბობენ, უნარი და ხერხიანობა ჰკლებიათ. ბრალი ამ საქმეში რეიხსტაგსა სდევს, რადგან ხელს უჭერს და საკმაო ხარჯს არ იღებს ახალშენების უკეთესად მოსაწყობად. ამის გამო მოსალოდნელია, რომ ამ შემოდგომაზე კანონ-პროექტს რასმე წარადგენენ და ახალშენებისთვის მეტს ხარჯს მოითხოვენ.

თუ ზოგიერთს გაზეთს დავუჯერებთ, მთავრობას ჰსურს თურმე ახალშენების გამგეობის საქმე სამხედრო წესით აწარმოვოს. ამ გვარი საქმის წარმოება დიდს ხარჯს მოითხოვს დ ინგლისის ახალშენებისა და კონგოს სამეფოების მოცილეობას მაინც ვერ მოაშორებს თავიდგან. კონგოცა და ინგლისის ახალშენებიც ეცდებიან მოსპონ გერმანიის ახალშენებში სპილოს ძვლით ვაჭრობის ტრანზიტი.

ახალმოშენების საქმე ადგილობრივად ხომ გაჭირვებულია და გაჭირვებული, მაგრამ ეს გაჭირვება თავისს დაღს ასვამს იმპერიის საზოგადო პოლიტიკასაც. ზალევსკის ექსპედიციის ამოწყვეტამ გერმანიის პოლიტიკოსები, რა კითხვა უნდა, ძლიერ დააღონა და დააფიქრა იმის თაობაზე, რა ბედი მოელის ჩვენს ახალშენებს აფრიკაშიო. თუ დიდი ომი რამ მოხდა ევროპაში, გერმანია ხომ იძულებული შეიქმნება ახალშენები ღვთის ამარად დასტოვოსო. ხოლო აღმოსავლეთს აფრიკაში იქაურნი მკვიდრნიც თითქმის სრულიად განმზადებულნი არიან აჯანყებისათვის. ამ გარემოების შემწეობით შეიძლება ერთს მშვენიერს დღეს გერმანიამ ან სრულიად დაიბანოს ხელი ახალშენებზე და ან კარგა ხნობით მაინც დაჰკარგოს ბატონობა იმ ქვეყნებში. გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, თუმცა ამ ჟამად ახალშენებიდგან არაფერს სარგებლობას არ ვიღებთ, მაგრამ შემდეგში გამოგვადგებაო. თვით ამ ახალშენების მდებარეობაც ინდოეთის ოკეანეს პირად გამოსადეგია ომიანობის დროისთვის. ერთის სიტყვით, დაბეჯითებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ გეერმანიის მთავრობა არ ჩაჰშლის ბისმარკის მიერ დაწყებულს საქმეს და კვლავ განაგრძნოს. მაგრამ თუ ჰსურს, აფრიკის ახალშენები დაიმკვიდროს, უნდა ეცადოს, რომ ევროპაში ომი არ აიტეხოს. აი თუ ამ მხრივ შევხედავთ საქმეს, მაშინ ადგილი მისახვედრი შეიქმნება, თუ რად ადგია გერმანია ამ ჟამად მშვიდობიანობის გზას.

გერმანია ისეა გატაცებული ახალშენების საქმეებით, რომ იქ მომხდარს ამბებს დიდი გავლენა აქვს მისს შინაურს პოლიტიკაზედაც.

გერმანიამ იმოდენა ადგილები დაიჭირა აფრიკაში, რომ მათი დამკვიდრება ძლიერ ძნელი საქმეა. რაც უფრო მეტად ჩაერევა აფრიკის საქმეებში, იმდენად ეს გარემოება უფრო დიდს გავლენას იქონიებს ევროპის პოლიტიკაზე. ამასთანავე რაც უფრო გულმოდგინედ მოეკიდება გერმანია აფრიკის საქმეებს, მით მისი ურთიერთობა ინგლისთან უფრო გამწვავდება.

---

## წვრილი ამბავი

ჩვენ უკვე გაუწყეთ მკითხველებს პარიჟელების საყვარელ არტისტის მარეს სიკვდილი. ამბობენ, რომ მარეს ავადმყოფობის მიზეზი პარიჟის თეატრის უწყისოება და იმის ამხანაგების მტრობა იყოო. ავადმყოფობის რამდენისამე დღის წინად მარემ ამ გვარად შესჩივლა პარიჟის ცნობილს მოამბეს არენს:

— მე, ჩემო ბატონო, „ფრანგულ კომედიის“ თეატრში სისარბის გამო არ დავიწყე სამსახური. კერძო თეატრში 50,000 ფრანკს ადვილად ვშოულობდი წელიწადში, „კომედიაში“-კი 12,000 ფრანკი მქონდა ჯამაგირი. ჩემი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ იმ თეატრში მემსახურნა, რომელიც მთელს ქვეყანაში საუკეთესოდ მიმაჩნია. მაგრამ, რომ იცოდეთ, რა მწარედ დამსაჯა იმ თეატრმა, რომლის სამსახური სანატრელად და საამაყოდ მიმაჩნდა. ყველა ახალი წარმოდგენა ჩემთვის ბრძოლა იყო, საზოგადოებასთან-კი არა, ისევ ჩემს ამხანაგებთან, რადგანაც ისინი შურის თვალით უყურებდნენ ჩემს გამარჯვებას. ცხადად მესატება თვალ-წინ ჩემი პირველი გამოსვლა „კომედიის“ სცენაზედ: საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა, დირექტორმა გამარჯვება მომილოცა, ერთმა „ამხანაგმა“-კი მეგობრულად ხელი დამკრა მხარზედ და წამჩურჩულა: „არა, ძმაო, არა, შენ შენი როლი კარგად ვერ შეგიგნიაო“. მეორედ კიდევ ერთმა არტისტმა ქალმა მტრობით წამიხდინა როლი“.

დიახ, ძლიერ სამწუხაროა ასეთი ქცევა ამხანაგთ შორის და ამაზედ უფრო სამწუხაროა არტისტების მიერ ერთმანეთის მტრობა და ბეზღობა, რასაც იშვიათად შეჰხვდებით სხვა თეატრში. თუ ამ უწყისოებამ ისეთი ნიჭიერი არტისტი დაღუპა, როგორიც მარე იყო, წარმოიდგინეთ, რა სამწუხარო გავლენა ექნება ამ გვარს ამბავს დაბალ ხარისხის სცენის მოყვარეებზე, რომელთაც ეს უწყისოება სრულიად ართმევს თავისუფლებას, იმ თავისუფლებას, რომელიც ასე საჭიროა ესლანდელს დროში სცენის მოხელესთვის.

ესლანდელი საზოგადოებაო, ამბობს მოპასანი: ძლიერ ბევრს და სხვა-და-სხვა მოვალეობას აკისრებს არტისტებს. ერთი უბრძანებს: „გაგვართეთ, გაგვამხიარულეთ, მეორე — „გვატირეთ“, მესამე — „დაგვაძინეთ“ მეოთხე — „დაგვაფიქრეთ, გონში ჩაგვაგდეთო“ და სხვა. მხოლოდ მცირე ნაწილი საზოგადოებისა სთხოვს არტისტს, რომ „ხელოვნურად და ნამდვილის ჭეშმარიტებით დახატული ცხოვრება წარმოგვიდგინეო“. ვიქტორ ჰიუგოს აზრით, თეატრის საზოგადოება სამ გვარია: ერთი შეგნებული ხალხია, მეორე ქალები და მესამე ბრბო. ბრბო თხოულობს თეატრისაგან მოქმედებას და მოძრაობას, ქალები ვნებათა ღელვას და შეგნებული კაცი ხასიათებს, ტიპებს.

ყველა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადვილი არ არის და მხოლოდ მაშინ არის მოსახერხებელი, როცა სცენის მოხელეს შეძლება აქვს დამშვიდებულის გულით შეუდგეს თავისს საქმეს და არავითარი შიში არა ჰქონდეს ამხანაგთ მიერ მტრობისა. წინაამდეგს შემთხვევაში დაფნის გვირგვინის მაგიერად, მარესავით ეკლის გვირგვინს ეღირსება.

— ინგლისში ჩვეულებაა, ადრუმის შემდეგ მხედართ მთავარს, კეზრიკის ჰერცოგს, წარუდგენენ ხოლმე იმ აფიცრებს, რომლებმაც რითიმე ისახელეს თავი. ამას წინადაც ჰერცოგს წარუდგინეს ერთი აფიცერი. ჰერცოგმა მეტად ალერსიანად და მომხიბლავის ღიმილით ჰკითხა, რა გსურს, რომ აგისრულოო.

მადლობელი გახლავართ, არაფერიო, უპასუხა აფიცერმა. ამ მოულოდნელმა პასუხმა ჰერცოგი ისე გაახარა, რომ დიდის სიხარულით და სიამოვნებით წამოიძახა: „ოჰ, რა მშვენიერი ახალგაზრდა კაცი ყოფილხარ, მიბოძეთ თქვენი ხელიო. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ხანია არ შემხვედრია ისეთი აფიცერი, რომელსაც ჩემთვის რამე არ ეთხოვნოსო.

— ინგლისელი ვაჭრები ათას ნაირს რეკლამებს იგონებენ ვაჭრობის გასაძლიერებლად. ერთ რესტორანის პატრონს თავის ძაღლებისთვის თითო პერანგი ჩაუცმევია და ზედ რესტორანისადრესი დაუწერია. ასევე მოქცეულა შოტლანდიის ძაღლების მაღაზიის პატრონიც. ერთს თვინისბურის ვაჭარს კიდევ სხვა ხერხი მოუგონია. ამ ვაჭარს ერთი უშველებელი ნიუფაუნდლენდის ძაღლი ჰყოლია. ძაღლს პირში ჯოხს აჭერინებს ხოლმე და ზედ განცხადებებს ჰკიდებს. ძაღლი დადის ქალაქში ქუჩა-ქუჩა და დაიარება თუ არა კარგად ჩაცმულს კაცს, იმ წამსვე ჩერდება. ცნობის მოყვარე კაცი იღებს ერთს ფურცელს და კითხულობს. ამ გვარს რეკლამას ერთი ნაკლულევანება აქვს: შეჰხვდებიან რა უცხო ძაღლები ამ განცხადების დამტარებელს ძაღლს, დაედევნებიან ხოლმე და უშლიან მოვალეობის ასრულებას. მართალია, ავიშების დამტარებელი ძაღლი ამ შემთხვევაში ჭკვიანურად იქცევა, დააწყობს ხოლმე მიწაზე განცხადებებს და ეჩხუბება ამ მეტიჩარა და უსაქმო მაწანწალებს, ჰფანტავს ყველას და ისევ იღებს განცხადებებს, მაგრამ ამ გზით განცხადებები, ცოტა არ იყოს, ჭუჭყიანდება.

— ლონდონის მაღალ წოდების საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაა იმ არეულობის გამო, რომელიც ერთს ლონდონის საუკეთესო კლუბში მოხდა. ამ რამდენისამე დღის წინად ამ კლუბში, რომლის წევრებადაც განსაკუთრებით პალატის ლორდები და უმაღლესი წოდების კაცნი არიან, მოვიდნენ ქალაქდის სათამაშოდ: ერთი ახალგაზრდა ლორდი, იორკშაირის მდიდარი მემამულე, ერთი მინისტრად

ნამყოფი კაცი და ერთიც ახალგაზრდა დეპუტატი. ქალაქის თამაშობამ სრული სამი საათი გასტანა. წაგებული ფული 225,000 ფრანკს სჭარბობდა. კლუბის წევრნი გარს შემოეხვივნენ მოთამაშეებს და ქალაქის თამაშობას უცქეროდნენ. ამათ შორის ერთი სამხედრო აფიცერიც ერია. უცებ ეს აფიცერი ეცა ახალგაზრდა ლორდს, წაართვა ხელიდგან სათამაშო ქაღალდი, დასცა იატაკზედ და დაუშინა მუშტები, ლორდი წამოდგა და მივარდა ამ აფიცერს. პოლიციის მოსვლამ უფრო აალელვა იქ მყოფნი და გაიმართა საერთო ჩხუბი. არეულობა არ გათავდა, ვიდრე თვით კლუბის თავმჯდომარე არ მივიდა. ახალგაზრდა ლორდს ყალბობას აბრალებენ ქაღალდის თამაშობაში და დროებით კლუბში სიარული აღუკრძალეს.

---

## დეპეშა

23 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „ვოლჟსკო—კამსკი“-ს ბანკის საბჭომ შეიწყნარა ამავე ბანკის მართველობის წინადადება, რომ 30 ათასი მანეთი მიეცეს მოუსავლობით დაზარალებულს გლეხებს.

გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ზამთარს სასახლეში, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, მეჯლისები არ იქნება და ამ მეჯლისებზე დასახარჯი ფული დამშეულთ მოხმარდებაო.

**ვენა.** გუშინ ქალაქ მელკაში დიდის ამბით აკურთხეს ახალი ძეგლი, აგებული ხელმწიფე იმპერატორის ხარჯით რუსების იმ ჯარის კაცთა საფლავზედ, რომელნიც 1805 წლის ბრძოლის დროს დაიხოცნენ. კურთხევას დაესწრნენ: რუსეთის წარმომდგენელი, სამხედრო აგენტი და აგრეთვე დეპუტაციები ავსტრი-ვენგრიის ჯარებისა, რომელთა უფროსიც ამბობდა, ავსტრიელნი სამუდამოდ დაიცავენ საფლავს რუსის ჯარის კაცთა, რომელნიც ჩვენებთან ერთად 1805 წლის ომში დაიხოცნენო.

**ლონდონი.** ავღანის ემირს სრულიადაც არა ჰსურს ვახანის ემირობა და გულ-გრილად უცქერის რუსების პამირში ყოფნასაო.

**პარიჟი.** გუშინ ნიცაში აკურთხეს ძეგლი გარიბალდისა თანადასწრებით მინისტრ რუვიესი, გარიბალდის სიძის იტალიის გენერლის კანციოსი და იტალიისა და საფრანგეთის მრავალ დეპუტატთა.

**რომი.** პარასკევს საღამოს სამმა ფრანგმა მლოცველმა დემონსტრაცია მოახდინა მეფე ვიქტორ-ემანუელის აკლდამასთან იმითი, რომ პანტეონში შემსვლელთა დავთარში ჩასწერეს: „vive le pape“ და ამას სიტყვა „მეფის“ პირველი ასოც მიუმატეს. თვით პაპი ჰკიცხავს ამის ჩამდენელთ. რომში ერმა დაფნის გვირგვინი დაადგა მეფე ვიქტორ-ემანუელის აკლდამას. პროვინციებში დიდი მანიფესტაციებია ამ ფრანგების საქციელის წინააღმდეგ. მეფემ მოიწონა ერის მიერ გამოთქმული გრძნობა ამ ფრანგთა საქციელის შესახებ და ბრძანება გასცა, რომ დაუყოვნებლივ განდევნეთ იტალიის საზღვრებიდგან ეგ მლოცველებიო.

24 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებული უმაღლესი ბრძანება 1 აგვისტოს თარიღით ფინლიანდიის დიდ სამთავროს უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოებასა და თანამდებობაზე კაცების დანიშვნაში ცვლილებათა შემოღებისა. ვიდრე პროექტები ახალკანონთა უქვეშევრდომილესად მოხსენდებოდეს და შემდეგ გადაეცემოდეს ფინლიანდიის სეიმს, იმპერიის მინისტრებს უნდა დაეკითხნენ ხოლმე ყოველის იმ შემთხვევაში, როცა საქმე მთელის იმპერიის ინტერესებს ეხება. კანონპროექტები და სეიმის წინადადებანი წარედგინება მისს უდიდებულესობას გენერალ-გუბერნატორს აზრისა და სათანადო მინისტრის დასკვნითურთ. მინისტრ-სტატს-სეკრეტარმა უნდა გაუგზავნოს გენერალ-გუბერნატორს მხარისას პირები უმაღლეს დაკანონებათა რუსულს ენაზედ, აგრეთვე პირები კანონ-პროექტთა და სეიმის წინადადებათაც რუსულს ენაზედ. რუსულს ენაზედვე ეგზავნება გენერალ-გუბერნატორს ყოველივე დადგენილება და მოხსენება ფინლიანდიის სენატისა; თარგმნა სენატის განკარგულებით დაეკისრებათ პასუხის მგებს მთარგმნელებს. მოხელეებად ფინლიანდიის დიდის სამთავროისა და მხრის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიისა განწესებულ უნდა იქმნენ რუსნი მოხელენი, უნივერსიტეტ დამთავრებულნი და საფუძვლიანად მცოდნენი ფინლიანდიის ადგილობრივ კანონთა, და აგრეთვე ფინლიანდიელნიც უმაღლეს განათლება მიღებულნი, ხოლო საფუძვლიანად მცოდნენი-კი რუსულის ენისა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 სექტემბერს

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 53 | 7, 57 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $150^1/_2$ | $151^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | $209^3/_4$ | — ,, | $211^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდე მიდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, დამასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

---

# განცხადებანი

## გ. ჩარკვიანის

**სტამბასა და წიგნთ სავაჭროში**

(მიხეილის ქუჩ. მელქედიევის სახლებში)

ისყიდება

ახლად გამოცემული წიგნები

**თამარ,** სპარსული ლეგენდა, თარგმანი ფრანგულიდან ქართულათ 10 კ.

**დემონი,** პოემა ლერმონტოვისა თარგ. მამია გურიელისა . . 15 კ.

(3—2)

---

**„ქართველთა ამხანაგობის“**

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.

---


კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—7)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


---


გამოვიდა და ისყიდება

**„ქართველთა ამხანაგობის“**

წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

**ა. ყაზბეგისა**

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მირულაში—ილია ჰიჰინაძე, ბეკათუბანში—ანდრ. შაფათავა, საშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სუფსაში—ნიკ. იოსელიანი. (0—6)


Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.